



ლელა საჯაიას ანგარიში 2020 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

წარმოგიდგენთ ჩემს, როგორც საკრებულოს წევრის ანგარიშს, რომელიც შედგენილია ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მოთხოვნის შესაბამისად და იგი მოიცავს პერიოდს 2019 წლის ნოემბრიდან 2020 წლის 31 დეკემბრამდე.

საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 44-ე, 45-ე, 47-ე მუხლების და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის თანახმად, საანგარიშო პერიოდში, როგორც საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ და საკრებულოს წევრმა მონაწილეობა მივიღე საკრებულოს ბიუროს და საკრებულოს 16 სხდომაში, სადაც მიღებულ იქნა 19 დადგენილება, 65 განკარგულება და 114 ბრძანება. ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს წევრი“. ვმონაწილეობდი ფრაქციის ყველა სხდომის მუშაობაში, ასევე ვარ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი. ვმონაწილეობდი კომისიის 16 სხდომაში. ჩემი ამ კომისიაში მუშაობა ვფიქრობ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია ჩემი ამომრჩევლებისათვის. ამიტომ, მაქსიმალურად ვიყავი ინფრასტრუქტურის სხდომების მუშაობაში ჩართული და მიმაჩნია, რომ ამ კომისიასთან აქტიური თანამშრომლობით არაერთი ღონისძიება გავატარეთ ჩემს სამაჟორიტარო ოლქში, რაც სათანადოდ აისახა კონკრეტულ ინფრასტრუქტურულ პროექტებში.

მთელი მსოფლიო და მათ შორის საქართველო პანდემიის შესაბამისად აგრძელებს ცხოვრებას. ასეთ დროს საჯარო მმართველობას გარკვეულ გამოწვევებთან უხდება გამკლავება. კარგი მმართველობა მოქალაქეთა მონაწილეობაზეა აგებული. პანდემიის პერიოდში კი ძნელია შეინარჩუნო სათანადო კომუნიკაცია და მოსახლეობის ჩართულობის მაღალი ხარისხი. საქართველოს მთავრობის განკარგულებით და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომდგენლების სათანადო სამართლებრივი აქტებით განისაზღვრა ადგილობრივი ორგანოების დისტანციურ რეჟიმში მუშაობა. უხდა აღვნიშნო, რომ ეს მიდგომა საკმაოდ მორგებული აღმოჩნდა ჩემი სამაჟორიტარო ოლქისათვის, სადაც კომუნიკაციის დისტანციური და ელექტრონული მექანიზმები საკმარისადაა განვითარებული, განსხვავებით სხვადასხვა მუნიციპალიტეტის დაბებისა და სოფლებისაგან, სადაც ინტერნეტით ტერიტორიის დაფარვის და მისით სარგებლობის მაჩვენებელი არც თუ ისე სახარბიელოა. არაერთი ზარი, არაერთი წერილი და შეტყობინება შემოვიდა, არაერთი სხდომა და სამუშაო შეხვედრა ჩატარდა დისტანციურ ფორმატში. ვთვლი რომ პანდემიამ ვერ შეძლო ჩვენი სამუშაო გეგმის შეფერხება.

ჩემთვის სამუშაო გეგმის მიხედვით, ყოველი ოთხშაბათი მოქალაქეთა მიღების დღეა. მიმდინარე ეპიდსიტუაციის გათვალისწინებით შექონდა ამომრჩევლებთან 90 მდე გასვლითი შეხვედრა და ადგილზე მოქალაქეთა 20 მიღება.

გულწრფელად გეტყვით, ინდივიდუალური მიღების გარდა, ყოველ დღე, დასვენების დღეებშიც კი, კომუნიკაციაში ვარ ჩემს ამომრჩევლებთან. ვისმენ მათ პრობლემებს, ვუწევ კონსულტაციას, ჩემი კოლეგების მხარდაჭერით და კონტაქტებით შესაძლებლობის ფარგლებში ვაგვარებ მათ წინაშე წამოჭრილ პრობლემებს, რაც მიმაჩნია, რომ ერთიორად ზრდის მოქალაქეთა მომართვიანობის სიხშირეს.

მოქალაქეთა მომართვიანობა ძირითადად ეხება შემდეგ საკითხებს: სოციალურად დაუცველთა ბაზაში დარეგისტრირებას, სოციალური დახმარების მიღებას, მედიკამენტებით უზრუნველყოფას, ოპერაციების თანადაფინანსებაში დახმარებას, სამედიცინო კვლევების დაფინანსებას, ფინანსური სათბობი მასალითა და საკვები პროდუქტებით დახმარებას, სამშენებლო მასალებით დახმარებას, საცხოვრებელი სახლების გამაგრება-გადახურვას, გზებისა და ეზოების რეაბილიტაციას, სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების, სკვერებისა და სპორტული მოედნების მოწყობას.

განსაკუთრებით ხშირია საცხოვრებელი სახლების გადახურვის მოთხოვნა. ძერიის დახმარებით ჩვენ ეტაპობრივად ვახერხებთ სტიქიით დაზიანებული სახლების გადახურვით სამუშაოების შესრულებას. გასულ წელს ჩემს სამაჟორიტარო ოლქში გადაიხურა 5 სახლი. არის შემთხვევებიც, როცა სახლების გადახურვა მოხდა მძიმე საცხოვრებელ პირობებში მცხოვრებ მოქალაქეთა მხარდაჭერის პროგრამიდან.

იმ ადამიანებს, რომელთაც ესაჭიროებათ სოციალურად დაუცველთა ბაზაში დარეგისტრირება, ვუწევთ კონსულტაციას სოციალურ სააგენტოსთან კომუნიკაციის გამარტივების მიზნით და ვახორციელებთ ერთგვარ მონიტორინგს კანონის ფარგლებში, რათა არ დაირღვეს თითოეული მოქალაქის უფლება და დაცულ იქნას მისი ინტერესები.

ვფიქრობ, ქალაქის ბიუჯეტის სწორად დაგეგვმაში მოსხლეობის ინტერესების გათვალისწინება უპირობოდ მნიშვნელოვანია, სწორედ ამიტომ 2019 წლის მარტიდან სექტემბრის ჩათვლით აქტიურ რეჟიმში ჩემს კოლეგებთან ერთად გავდიოდი კონკრეტულ მისამართზე და ვხვდებოდით ადგილობრივ მოსახლეობას, ვისმენდით და ვინიშნავდით მათ პრობლემებს, საკითხები პრიორიტეტების მიხედვით შევარჩიეთ ადგილობრივ მერიასთან ერთად და ქალაქის 2020 წლის ბიუჯეტში გავითვალისწინეთ

საანგარიშო პერიოდში ზვანი-მოიდანახეს უბნებში განხორციელდა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული სამუშაოები:

- ქ. ოზურგეთში ბარათაშვილის ქუჩის პირველი ჩიხის, ბარათაშვილის ქუჩის მეორე შესახვევის გზის მოასფალტების სამუშაოები;
- ლომთათიძის ქუჩის რეაბილიტაციის და ლომთათიძის ქუჩის პირველი შესახვევის მოასფალტების სამუშაოები;
- დუმბაძის ქუჩის პირველი შესახვევის რეაბილიტაციის

სამუშაოები;

- გენიჩესკის ქუჩის სანიაღვრე არხის რეაბილიტაციის სამუშაოები;
- ლერმონტოვის ქუჩის პირველი შესახვევის რეაბილიტაცია;
- აკაკის ქუჩის საგალი ნაწილის რეაბილიტაცია;
- N 9 საბავშვო ბაღში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები;
- N 4 საჯარო სკოლაში სარემონტო სამუშაოები;
- N 3 სკოლაში მოეწყო სველი წერტილები;
- კოსტავას ქუჩაზე მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახისათვის აშენდა საცხოვრებელი სახლი.

მოქალაქეებთან შეხვედრის დროს წამოჭრილი პრობლემებიდან კომპეტენციის ფარგლებში დახმარება გაეწია ყველა მოქალაქეს. ვერ ვიხსენებ შემთხვევას, როცა ჩემი ამომრჩევლის ინტერესი არ ყოფილიყო გათვალისწინებული და შემოსული განცხადება რეაგირების გარეშე დარჩენილიყო. ჩემი ჩართულობით 2 ადამიანს, შშმ პირს დაენიშნა სოციალური პენსია.

აქტიურად ვიყავი ჩართული საკრებულოს მიერ მისაღებ სამართლებრივი აქტების განხილვა-დამტკიცებაში. საკრებულოში 2021 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვისას წარმოვადგინე ინიციატივა შშმ პირებისათვის ადაპტირებული გარემოს შექმნისათვის, რაც ითვალისწინებს ადმინისტრაციულ შენობაში ლიფტის მოწყობას. ასევე ინიციატივა ქალაქში საზოგადოებრივი სველი წერტილების მოსაწყობად. მესამე ინიციატივა ეხებოდა ფსიქიური პრობლემების მქონე ბენეფიციარების ოჯახის წევრების, კონკრეტულად მეურვეების ფსიქო-სოციალურ მხარდაჭერას. სამწუხაროდ, არსებულ ბიუჯეტში ვერ გამოიძებნა სახსრები ამ მნიშვნელოვანი პროექტებისათვის, მაგრამ ვიმედოვნებ, ოდესმე, პოსტპანდემიურ პერიოდში ჩვენ თუ არა სხვა მაინც, ვინც ახალ თვითმმართველობაში დაიკავებს ადგილს ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, შეძლებს ამ მტკივნეული საკითხის გადაჭრას.

როგორც გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე წამოვაცენე ინიციატივა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის შესამუშავებლად. მოხარული ვარ რომ ეს წინადადება მხარდაჭერილია და ის აისახა 2021 წლის ბიუჯეტის პროექტში 30 000 ლარის ფარგლებში.

როგორც საკრებულოს წევრი და კომისიის თავმჯდომარე ვმონაწილეობდი მუნიციპალიტეტში ორგანიზებულ კულტურულ, სპორტულ, სახელოვნებო და საგანმანათლებლო - შემეცნებით ღონისძიებებში, ახალგაზრდულ პროექტებსა და პროგრამებში; ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის, მერის მოადგილეების და მერიის სამსახურების მიერ მოწვეულ თათბირებსა და სამუშაო ჯგუფების მიერ ორგანიზებულ შეხვედრებსა და საკონსულტაციო თათბირებში. მერიასთან თანამშრომლობისას განსაკუთრებული ყურადღება დავუთმე 18-დან 21- წლამდე ასაკის მინდობის აღზრდიდან გამოსული ადამიანების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას და მათი სოციალიზაციის საკითხებს.

საანგარიშო პერიოდში ჩართული ვიყავი არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ორგანიზებულ ტრენინგ-სემინარებში, აქტიურ პარტნიორულ ურთიერთობებს ვინარჩუნებთ ეროვნულ დემოკრატიულ ინსტიტუტთან, კულტურულ-ჰუმანიტარულ ფონდ „სოხუმთან“, „ქალთა საკონსულტაციო ცენტრთან“ და თავისთავად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან. მათ მიერ ჩატარებულმა ტრენინგ-სემინარებმა და კონსულტაციებმა გარკვეული უნარები შემიძინა და თეორიული და პრაქტიკული ცოდნა გამიღრმავა.

ჩემთვის ძალიან საინტერესოა. ძალიან მნიშვნელოვანი. საჭიროებებზე გათვლილი და მორგებული იყო ლიდერთა სკოლის 6 თვიანი სასწრაფო პროგრამა რომელიც გაიხარა 2020 წლის იანვრიდან. საერთაშორისო მუნიციპალიტეტი მომსახურების უზრუნველყოფითა ასოციაციამ. გაიხარა განთავსებული თანასწორობის ერთობლივი პროგრამის მხარდაჭერით შიდა საკრებულოს წევრი ქალების გადამზადება და იზრუნა ჩვენს გადმოვირებაზე. მინდა ჩემი უზომო მადლიერება გამოვხატო თითოეულ გასწავლულს და ჩემი კოლეგების მიმართ სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან მხარდაჭერისა და გამოხადების გაზიარებისათვის. ჩალთა მონაწილეობა პოლიტიკაში უმნიშვნელოვანია. მჯერა. ჩვენი ერთობლივი ძალიან მძვირით შესაძლებელია გენდერული პოლიტიკის გატარება ადგილობრივ მმართველობაში.

ტრენინგ-სემინარებმა ცოდნის გაფართოების გარდა, ძალიან ბევრ კომპეტენტურ ადამიანს დამაკავშირა, არა მარტო თვითმმართველობის და გენდერული თანასწორობის ექსპერტებს, არამედ კოლეგებს სხვადასხვა მუნიციპალიტეტიდან და ეს გამოცდილების გაზიარების საუკეთესო საშუალებაა.

როგორც მაშორიტარმა, არ შემიძლია გვერდი ავუარო სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტს მუნიციპალიტეტში, რომელიც ძალიან მასშტაბური და უპრეცედენტო იყო თავისი მასშტაბებით და მოქალაქეთა ჩართულობით. ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა დაწერა მონაწილეობითი ბიუჯეტირების უნიკალური მოდელი. პროექტის სახელწოდებაა „იყავი თანამმართველი“. იგი უკვე გასულ წელს მეორედ განხორციელდა, და მისი ბიუჯეტი განისაზღვრა 300 000 ლარით. მოქალაქეთა მონაწილეობის აღნიშნული ფორმა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის შესაძლებლობას, დაეგვიძონ ბიუჯეტის ნაწილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებლად, პროექტის ღირებულებისა და მიღებული ხმების საფუძველზე. მოხარული ვარ, როცა სამაშორიტარო ოლქში, ლომთათიძის ქუჩის მცხოვრებლებმა უბრალო კედელი უნიკალურ მოდელად აქციეს და უკვე წელს ამ ადგილას ჩვენ ვიხილავთ „ოზურგეთის დაკიდულ ბალებს“. ასევე მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებლა კიტა მეგრელაძის ქუჩაზე სადაც მოქალაქეებს ულამაზესი დასასვენებელი სივრცე ექნებათ ადგილობრივი ახალგაზრდების ჩართულობით და აქტიურობით. სამოქალაქო ბიუჯეტი უნიკალური შესაძლებლობაა შეცვალო გარემო შენს ირგვლივ და აქციო არა ისეთად, როგორც სხვას წარმოუდგენია, არამედ ისეთად, როგორც შენ გინდა იყოს. მე, როგორც დეპუტატი ჩართული ვიყავი სამოქალაქო ბიუჯეტის პროექტებში როგორც იდეის მხარდამჭერი, მაგრამ ვთვლი რომ ეს ცოტაა. ამიტომაც სამოქალაქო ბიუჯეტირების შესახებ ცოდნისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გავხდი პარტისიპაციის აკადემიის (AoP) მონაწილე. ვიმედოვნებ რომ აკადემია მომცემს ისეთ ცოდნას და უნარებს ჩემი პროფესიული

განვითარებისათვის, რასაც წარმატებით გამოვიყენებ ყოველდღიურ პროფესიულ პრაქტიკაში.

ქალაქში არაერთი პრობლემაა, რომელიც განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. ეს იქნება მიუსაფარი ცხოველები, სასმელი წყლის მიწოდების საკითხები, წყალარინების პრობლემები, უმუშევრობა თუ მძიმე საცხოვრებელი პირობები.

ვფიქრობ, მეტი კომუნიკაციაა საჭირო ჩვენს მოქალაქეებთან. არაერთხელ დავრწმუნდი, რომ ჩვენი მოქალაქეების პრობლემების უმრავლესობის გადაწყვეტას ის კი არ უშლის ხელს, რომ ამის ნება არ არსებობს, არამედ ის, რომ ხელისუფლებას, როგორც ადგილზე, ისე ცენტრში, ამის შესახებ ნაკლები ინფორმაცია გააჩნია. მოქალაქეთა დიდ ნაწილს ჯერ კიდევ აქვს შეგრძნება იმისა, რომ მათ არავინ მოუსმენს, არავინ გადაუწყვეტს პრობლემას, რომელიც მის ეზოს, მის სახლს, მის უბანს ეხება. ამიტომაც ვცდილობ თავად მივიდე თითოეულის ოჯახში. ჩემს გვერდით დგას თანამოაზრეთა ძალიან აქტიური და ძლიერი გუნდი, რომელთანაც მჭიდროდ ვთანამშრომლობ და მათი უშუალო მხარდაჭერით ყველა უბანში მაქვს დეტალური ინფორმაცია ჩემი ამომრჩევლების სოციალური და ეკონომიკური პრობლემების შესახებ. ვცდილობ არც ერთი მოქალაქე არ დარჩეს შეშის, თბილი ტანსაცმლის, და საკვების გარეშე და თუ ამას მუნიციპალური პროგრამებით ვერ ვანერგებ არის შესაძლებლობა კეთილი და ქველმოქმედი ადამიანების დახმარებით შევძლო გარკვეული დახმარების გაწევა. არ შემიძლია არ გადავუხადო განსაკუთრებული მადლობა ჩემს მეგობრებს, რომელთა უშუალო ჩართულობით არაერთი საქველმოქმედო აქტივობა განახორციელდა პანდემიის გამოცხადებიდან დღემდე, იქნებოდა ეს მარტოხელა მოხუცები, მრავალშვილიანი ოჯახები თუ მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი მოქალაქეები.

პანდემიის პერიოდში სახელმწიფომ ბიზნეს სექტორთან ერთად უმნიშვნელოვანესი კამპანია დაიწყო, როგორც მარტოხელა სოციალურად დაუცველი მოხუცების, ასევე მრავალშვილიანი ოჯახების (ოთხი და მეტი შვილი) მიმართ, აქტიურად ვიყავი ჩართული აღნიშნულ კამპანიაში და უწყვეტ რეჟიმში ჩემს სამაჟორიტარო ოლქში მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებს და ასევე სოციალურად დაუცველ მარტოხელა მოხუცებს ვეხმარებოდით პროდუქტებითა და პირველადი მოხმარების ნივთებით. პანდემიის პერიოდში, ჩემს სამაჟორიტარო ოლქში, 139 ოჯახს, ორ ეტაპად დავეხმარეთ პროდუქტებითა და პირველადი მოხმარების ნივთებით.

ჩვენ ვისწავლეთ Covid-19-თან ცხოვრება, ჩვენ ახალი თვალით შევხედეთ ცხოვრებას, დავაფასეთ ის, რაც გვაქვს, გადავაფასეთ ინტერესები, მოთხოვნილებები, დამოკიდებულებები. საკუთარ თავში აღმოვაჩინეთ ახალი შესაძლებლობები. გულწრფელად ვიტყვი, თავი არ დამიზოგავს, დალლა არ მიგრძვნი, დრო არ დამითვლია იქ, სადაც ჩემი მხარდაჭერა სჭირდებოდათ. მოვირგე არაერთი როლი-ექიმის, ადვოკატის, ტაქსისტის... და დავასკვენი, სიამოვნებით ვიქნებოდი რომელიმე მათგანი. ყველა ძალიან საინტერესოა და ყველგან სასიამოვნო ყოფნა, როცა ვინმეს ეხმარები და მძიმე პირობებს უმსუბუქებ.

ძირითადი საკითხები, რომლებიც ჩემს სამანდატო ოლქში უდიდეს სირთულეს წარმოადგენდა, დღეს უკვე გადაჭრილია; კონკრეტულად, ეს შეეხება მასშტაბურ ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს.

განხორციელდა ცენტრალური ქუჩების რეაბილიტაცია. მაგალითად მოვიყვან გურიელის, ანდლულაძის, მაიაკოვსკის, საფო მგელაძის, ლერმონტოვის, იაკობ შემოქმედელის ქუჩების მასშტაბურ პროექტებს. საფო მგელაძის და ლერმონტოვის ქუჩებზე მოეწყო კანალიზაციის სისტემა. რაც მართლაც განსაკუთრებული შემთხვევაა ჩვენი ქალაქის ისტორიაში. მეგობრობის ქუჩაზე მოწესრიგდა ძრავალსართულიანი ბინის ეზო, კოსტავას ქუჩაზე მოეწყო წყალარინების სისტემა.

თუმცა გადაუწყვეტელ პრობლემად რჩება ზვანი -მოიდანახეს უბანში საბავშვო ბაღის აშენების საკითხი. კიტა მეგრელიძის ქუჩაზე ძრავალსართულიანი ბინების თუხუქის პერანგი, კონკრეტული ადამიანებისათვის სახურავების პრობლემა, ქუთაისის ქუჩის მეორე ჩიხში სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია და სავალ გზაზე ასფალტის საფარი, კოსტავას ქუჩაზე ძრავალბინიანი სახლების ეზოების რეაბილიტაცია, შემოქმედელის პირველი შესახვევის მასშტაბური პრობლემა, ლესელიძის და ორბელიანის ქუჩების ბოლო მონაკვეთზე სასმელი წყლის მიწოდების საკითხი.

პანდემიის გარეშეც არაერთი გამოწვევის წინაშე ვიდებით, თუმცა მჯერა რომ ამ სირთულესაც ღირსეულად გადავიტანთ და ყველა იმ პრობლემას დავძლევთ, დღეს რომ გადაუწყვეტელი გვგონია. მეიმიდება ჩემი, „ქართული ოცნების“ გუნდი ხელისუფლებაში, საკრებულოში. მე მაქვს მათი გონიერების და გულისხმიერების იმედი. სწორედ ამიტომ, ამ ხნის მანძილზე გაჩეული თანადგომისთვის, მინდა მადლობა გადავუხადო საკრებულოს თავმჯდომარეს ბატონ დავით დარჩიას, თავმჯდომარის მოადგილეს ბატონ გიორგი ლუროჯუმიდიძეს, ფრაქცია ქართული ოცნების თავმჯდომარეს ბატონ ტარიელ აროშიძეს, უმრავლესობის წევრებს, საკრებულოს აპარატის თითოეულ თანამშრომელს, ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის საქმიანობაში გაჩეული მხარდაჭერისა და თანადგომისათვის. ვფიქრობ ასე ერთობით და თანადგომით ბევრ სასიკეთო საქმეს გავაკეთებთ. მადლობას ვუხდით ჩემს ამომრჩევლებს მხარდაჭერისთვის, გამხმევებისთვის, მოთხოვნებისთვის, ზოგჯერ კატეგორიული ტონისთვის, საყვედურისთვისაც. ჩვენ თქვენ გვჭირდებათ. თქვენი აქტიურობა გვჭირდება. სამაგალითოდ მყავს დუმიბაძის ქუჩის პირველი შესახვევის მოსახლეობა, რომელიც არასდროს აკლდებოდა კომისიის სხდომებს, არ გვასვენებდნენ სოციალური ქსელით და პირადი კომუნიკაციით. მათი მოთხოვნა გზის რეაბილიტაციის შესახებ დაკმაყოფილდა და მათ ლომის წილი მიუძღვით ამ საქმეში. და ბოლოს, არ შემიძლია უდიდესი მადლიერებით, სიყვარულით და პატივისცემით არ გავიხსენო კიტა მეგრელიძის ქუჩის მცხოვრებ რაისა სანამიანი, რომელიც იყო ყველაზე აქტიური მოქალაქე, აქტიური ამომრჩეველი ჩემს მანსოვრობაში. მისმა წარმოუდგენელმა აქტიურობამ შეუწყო ხელი მეგრელიძის ქუჩის შესახვევების და ჩიხების რეაბილიტაციის პროექტის დამტკიცებას, მის უბანში არაერთი ოჯახის დახმარებას. ასეთი ადამიანები ქმნიან ამინდს ჩვენს ირგვლივ. ასეთი მოქალაქეები გვაჩვენებენ სამიზნე მიმართულებებს უკეთესი და მოსახლეობის ინტერესებზე მორგებული გადაწყვეტილებების მისაღებად.

ლელა საჯაია

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავმჯდომარე